



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 30

განკარგულება

29/04/2020

ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.091) განთავსებული აუზების (შადრევნების) მოვლა-პატრონობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№31/1566; 31/03/2020) წერილი, რომელშიც ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ დირექტორის წერილის საფუძველზე, ითხოვს თანხმობას აღნიშნულ ა(ა)იპ-ს, მოვლა-პატრონობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.091) განთავსებული აუზები (შადრევნები).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას“ მოვლა-პატრონობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (საკ.კოდი N29.08.34.091) განთავსებული აუზები (შადრევნები).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო